




შოთა მესხიას ბუგდიძის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

უნივერსიტეტი, როგორც ერთიანი სისტემა

2023 წელი



კვლევის მიზნები და ამოცანები

გამოკითხვა სახელწოდებით „უნივერსიტეტი, როგორც ერთიანი სისტემა“ ჩატარდა 2024 წლის აპრილში. კვლევა ჩატარა სტრატეგიული განვითარებისა და კვლევების სამსახურმა, ხოლო დასკვნებზე იმუშავა შიდა აუდიტის სამსახურმა.

კვლევის მიზანი: როგორც ადმინისტრაციული ასევე აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევა, რომელიც მოიცავდა უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკის ერთიანობაში შეფასებას

კვლევის ამოცანები:

- სერვისის მიწოდების ხარისხი
- ინფორმირება და ფინანსური ხელშეწყობა
- გამჭვირვალობა და ანგარიშგება
- ინფრასტრუქტურა

კვლევის მიზნისა და ამოცანების მისაღწევად გამოვიყენეთ რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, რომელიც საფუძვლად დაედო კვლევის ინსტრუმენტის (კითხვარის დიზაინს) შემუშავებას. სოციოლოგიური კვლევა ჩატარდა გამოკითხვის, კერძოდ კითხვარის გამოყენებით. შერჩევის ერთობლიობა- 502 რესპონდენტი. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო სტუდენტმა, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა.

ძირითადი დასკვნები:

სერვისის მიწოდების ხარისხი

- სასწავლო უნივერსიტეტში მაღალია კმაყოფილება საჭირო დოკუმენტების დროულად მომზადების შესახებ, რაც მიუთითებს დოკუმენტების შემუშავებაში ჩართული პირების მაღალ პასუხისმგებლობაზე.
- სიახლეების შესახებ ინფორმაცია გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია
- უნივერსიტეტში მუდმივად ტარდება გამოკითხვები
- გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი სასწავლო პროგრამების შემუშავება/განვითარებაში მონაწილეობს ყველა დაინტერესებულ მხარე, რაც მოწმობს, იმას, რომ პროგრამის შემუშავება არ ხდება სუბიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, არამედ გათვალისწინებულია ჩართული პირების გამოცდილება და შეხედულება
- ადმინისტრაცია და საგანმანათლებლო სტრუქტურები კოორდინებულად მუშაობენ, რაც მოწმობს, იმას, რომ სასწავლო უნივერსიტეტში არის თანამშრომლობითი ატმოსფერო, საქმის ეფექტურად და დროულად შესარულებლად სტრუქტურები პასუხისმგებლობას თანაბრად ინაწილებენ.

- სასწავლო უნივერსიტეტი მხარს უჭერს სასწავლო, სამეცნიერო და შემოქმედებით პროცესებთან დაკავშირებულ ინიციატივებს, რაც ხაზს უსვამს იმას, რომ უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკაში გააზრებულია ამ სამი სფეროს უმნიშვნელოვანესი როლი ინსტიტუციის განვითარების საქმეში, ამიტომაც მიისწრაფის უნივერსიტეტი გაიზიაროს საუკეთესო პრაქტიკა და მიიღოს სიახლეები, როგორც სასწავლო, სამეცნიერო ასევე შემოქმედებით პროცესებთან მიმართებაში.

ინფორმირება და ფინანსური ხელშეწყობა

- გამოკითხულთა სრული უმრავლესობა ადასტურებს, რომ მუდმივად იღებს ინფორმაციას გაცვლით პროგრამებზე, საგრანტო კონკურსებზე და ასე შემდეგ, რაც იმის მაჩვენებელია რომ სისტემატურად ხდება ინფორმაციის გავრცელება ამ მიმართულებით და პროცესები გამჭვირვალეა. წინა გამოკითხვის ანალიზის შემდეგ გაცემული რეკომენდაციები, როგორც ჩანს სრულად იქნა შესრულებული და შესაბამისი შედეგიც ნათელია
- გამოკითხულთა სრული უმრავლესობა კმაყოფილია სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული ფინანსური პირობებით, რაც ადასტურებს იმას, რომ სასწავლო უნივერსიტეტის მართვის ორგანოების მიერ სახელფასო პოლიტიკა სწორადაა წარმარმართული
- კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა უმეტესი ნაწილი კმაყოფილია ვებ-გვერდზე ინფორმაციის განახლებით, თუმცა კომენტარებში დაფიქსირდა, რომ სასურველია დიზაინის ცვლილება.
- უნივერსიტეტი რეგიონში ცნობილია, როგორ სიახლეებისკენ სწრაფვისა და ინოვაციების გაზიარების ადგილი, რასაც გამოკითხვის შედეგებიც ადასტურებს. გამოკითხულთა 96% ამბობს, რომ სასწავლო უნივერსიტეტს სხვადასხვა ინიციატივების დაფინანსების მაღალი მიმღებლობა აქვს.

გამჭვირვალობა და ანგარიშგება


- შესრულებულ სამუშაოზე ინფორმაცია ხელმისაწვდომია, რაც ადასტურებს იმას, რომ ინფორმაცია გამჭვირვალე და საჯაროა.
- გატარებულია სამართლიანი კონკურსის პრინციპები, შეფასების სისტემა ობიექტურია
- გამოკითხულთა სრული უმრავლესობა ადასტურებს, რომ უნივერსიტეტი გამოხატავს მზაობას კომენტარების/რეკომენდაციების მისაღებად, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს სასწავლო უნივერსიტეტის მიდგომას მიიღოს რეკომენდაციები და ინიციატივები, როგორც განვითარებისთვის აუცილებელი მექანიზმი.

ინფრასტრუქტურა

- გამოკითხულთა სრული უმრავლესობა ბიბლიოთეკის მომსახურების ხარისხით კმაყოფილია,რაც მიუთითებს ბიბლიოთეკის პერსონალის მუშაობის მაღლეფექტურობაზე
- პირველადი სამედიცინო დახმარების სერვისი კარგად ხორციელდება.
- კამპუსი აღჭურვილია სათვალთვალო კამერებით
- სასწავლო გარემო აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს


კვლევის შედეგები

სერვისის მიწოდების ხარისხი




გამოკითხულთა 98% ადასტურებს,რომ საჭირო დოკუმენტები დროულად მზადდება.

სიახლეების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია




როგორც დიაგრამიდან ჩანს გამოკითხულთა 96% აცხადებს რომ სიახლეების შესახებ ინფორმაცია გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია

საუნივერსიტეტო პროცესებთან დაკავშირებით მუდმივად ტარდება გამოკითხვები




გამოკითხვის შედეგები ადასტურებს, რომ უნივერსიტეტში მუდმივად ტარდება გამოკითხვები, რითაც დასტურდება, რომ უნივერსიტეტის მენეჯმენტი ითვალისწინებს საუნივერსიტეტო საზოგადოების აზრს.

სასწავლო პროგრამების შემუშავება/განვითარებაში მონაწილეობს ყველა დაინტერესებული მხარე



გამოკითხულთა 96% ადასტურებს, რომ სასწავლო პროგრამების შემუშავება/განვითარებაში მონაწილეობს ყველა დაინტერესებულ მხარე, რაც მოწმობს, იმას, რომ პროგრამის შემუშავება არ ხდება სუბიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, არამედ გათვალისწინებულია ჩართული პირების გამოცდილება და შეხედულება


ადმინისტრაცია და საგანმანათლებლო სტრუქტურები კოორდინირებულად მუშაობენ



გამოკითხულთა 98% ამბობს, რომ ადმინისტრაცია და საგანმანათლებლო სტრუქტურები კოორდინირებულად მუშაობენ, რაც მოწმობს, იმას, რომ სასწავლო

უნივერსიტეტში არის თანამშრომლობითი ატმოსფერო, საქმის ეფექტურად და დროულად შესარულებლად სტრუქტურები პასუხისმგებლობას თანაბრად ინაწილებენ.


უნივერსიტეტი მხარს უჭერს სასწავლო, სამეცნიერო თუ შემოქმედებით პროცესებთან დაკავშირებულ ინიციატივებს




გამოკითხულთა 96% აცხადებს, რომ სასწავლო უნივერსიტეტი მხარს უჭერს სასწავლო, სამეცნიერო და შემოქმედებით პროცესებთან დაკავშირებულ ინიციატივებს.

ინფორმირება და ფინანსური ხელშეწყობა


მუდმივად იღებთ ინფორმაციას გაცვლით პროგრამებზე, საგრანტო კონკურსებზე და სხვ.



გამოკითხულთა 98% დაადასტურა, რომ მუდმივად იღებს ინფორმაციას გაცვლით პროგრამებზე, საგრანტო კონკურსებზე და ასე შემდეგ, იმის მაჩვენებელია რომ სისტემატურად ხდება ინფორმაციის გავრცელება ამ მიმართულებით და პროცესები გამჭვირვალეა.




გამოკითხულთა 96% კმაყოფილია სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული ფინანსური პირობებით




კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა უმეტესი ნაწილი კმაყოფილია ვებ-გვერდზე ინფორმაციის განახლებით, თუმცა კომენტარებში დაფიქსირდა სასურველია დიზაინის ცვლილება.

ვებგვერდს უფრო სხვანაირი დიზაინი ქონდეს




უნივერსიტეტი რეგიონში ცნობილია, როგორ სიახლეებისკენ სწრაფვისა და ინოვაციების გაზიარების ადგილი, რასაც გამოკითხვის შედეგებიც ადასტურებს. გამოკითხულთა 96% ამბობს, რომ სასწავლო უნივერსიტეტს სხვადასხვა ინიციატივების დაფინანსების მაღალი მიმდებლობა აქვს.

გამჭვირვალობა და ანგარიშგება




გამოკითხულთა 98% ამბობს, რომ შესრულებულ სამუშაოზე ინფორმაცია ხელმისაწვდომია, რაც ადასტურებს იმას, რომ ინფორმაცია გამჭვირვალე და საჯაროა.




გამოკითხულთა 96% სრულად ეთანხმება იმ აზრს რომ უნივერსიტეტში გატარებულია სამართლიანი კონკურსის პრინციპები.

შეფასების კრიტერიუმები ობიექტურია




სრული უმრავლესობა 98% სრულად ეთანხმება, რომ შეფასების კრიტერიუმები სასწავლო უნივერსიტეტში ობიექტურია.

უნივერსიტეტი გამოხატავს მზაობას კომენტარების/რეკომენდაციების მისაღებად




გამოკიხულთა უდიდესი ნაწილი 96% აფიქსირებს, რომ უნივერსიტეტი გამოხატავს მზაობას კომენტარების/რეკომენდაციების მისაღებად, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს სასწავლო უნივერსიტეტის მიდგომას მიიღოს რეკომენდაციები და ინიციატივები, როგორც განვითარებისთვის კარგი მექანიზმი.


ინფრასტრუქტურა




გამოკითვულთა სრული უმრავლესობა ბიბლიოთეკის მომსახურების ხარისხით კმაყოფილია, რაც მიუთითებს ბიბლიოთეკის პერსონალის მუშაობის მაღალეფექტურობაზე.



გამოკითხულთა 96% სრულად ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ სასწავლო უნივერსიტეტში პირველადი სამედიცინო დახმარების სერვისი კარგად ხორციელდება.



გამოკითხულთა 98% ადასტურებს, რომ უსაფრთხოება სათვალთვალო კამერებით არის მოგვარებული.



გამოკვლავთა 96% სრული კმაცოფილგბა გამოხატა სასწავლო გარემოს მიმართ

დანართი 12: სასწავლო უნივერსიტეტი, როგორც ერთი მთლიანი სისტემა (ავსებს: აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტი) გთხოვთ, 5 ქულიანი სისტემით შეაფასოთ სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობა 1 ქულა - სრულიად არ ვეთანხმები / 2-4 ნაწილობრივ ვეთანხმები / 5 სავსებით ვეთანხმები					
შევსების თარიღი:	1	2	3	4	5
შეკითხვა	შეფასება				
სერვისის მიწოდების ხარისხი					
საჭირო დოკუმენტები დროულად მზადდება					
სიახლეების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია					
საუნივერსიტეტო პროცესებთან დაკავშირებით მუდმივად ტარდება გამოკითხვები					
სასწავლო პროგრამების შემუშავება / განვითარებაში მონაწილეობს ყველა დაინტერესებული მხარე					
ადმინისტრაცია და საგანმანათლებლო სტრუქტურები კოორდინირებულად მუშაობენ					
უნივერსიტეტი მხარს უჭერს სასწავლო, სამეცნიერო თუ შემოქმედებით პროცესებთან დაკავშირებულ ინიციატივებს					
ინფორმირება და ფინანსური ხელშეწყობა					
მუდმივად იღებთ ინფორმაციას გაცვლით პროგრამებზე, საგრანტო კონკურსებზე და სხვ.					
შემოთავაზებული ფინანსური პირობები გაკმაცოფილგბთ (ანაზღაურება, სწავლის გადასახადი)					
უნივერსიტეტის ვებგვერდი მუდმივად ახლდება და ინფორმაცია ხელმისაწვდომია					
სასწავლო უნივერსიტეტი მზადაა, დააფინანსოს სხვადასხვა სახის ინიციატივები					
გამჭვირვალობა და ანგარიშგება					
შესრულებულ სამუშაო შედეგებზე ინფორმაცია ხელმისაწვდომია					
საკონკურსო შერჩევის წესი სამართლიანია					
შეფასების კრიტერიუმები ობიექტურია					
1 უნივერსიტეტი გამოხატავს მზაობას კომენტარების / რეკომენდაციების მისაღებად					
ინფრასტრუქტურა					
საბიბლიოთეკო მომსახურების ხარისხი მაღალ დონეზეა					
პირველადი სამედიცინო დახმარება					

უზრუნველყოფილია					
უსაფრთხოების დაცვა მოგვარებულია სათვალთვალო კამერებით					
სასწავლო გარემო აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს					